91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა
და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №24 (7122) 16 დეკემბერი 2024 წელი

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ საქართველოს საპატრიარქოს განცხადებას, რომელიც ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო გაკეთდა 13 დეკემბერს.

ჩვენის მხრივ განვმეორდებით და ვიტყვით—„არა ძალადობას! არა სისასტიკეს! კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯონ პირები, ვინც სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები მიაყენა საპროტესტო აქციების მონაწილეებს, სამართალდამცავებსა და ჟურნალისტებს.

დაპირისპირებები და ძალადობა ანგრევს ჩვენს ქვეყანას, ჩვენ კი მშვიდობიანი ცხოვრება გვჭირდება მისი წარმატებით განვითარებისათვის...

ამის მიღწევა მხოლოდ საზოგადოებიას ერთიანობით შეიძლება, რაც დიალოგებისა და კომპრომისების გზითაა შესაძლებელი.

ჩემო სულიერო შვილებო,

ქვეყანაში ბოლო დღეების მანძილზე განვითარებული მოვლენები ნათლად წარმოაჩენს, რომ აუცილებელია, თითოეული ჩვენგანის ვალდებულებად იქცეს მშვიდობისათვის ზრუნვა. ყოველი ადამიანი - დიდი თუ პატარა - უნდა გაემიჯნოს ძალადობას და გააცნობიეროს, რომ ჩვენს რთულ დროში მდგომარეობის მკვეთრად დაძაბვა რეალურ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მთავარ მონაპოვარს - სახელმწიფოებრიობასა და სუვერენიტეტს! და ამის გათვალისწინებითაც განსაზღვროს თავისი ნაბიჯები. ამასთან, უმართავი პროცესების თავიდან აცილების მიზნით, უმნიშვნელოვანესია, კონსტრუქციულობით მიღწეულ იქნას დიალოგი.

ჩვენი პრობლემა დღეს ისიცაა, რომ ვერ ვხვდებით, როგორ ვშორდებით ღმერთს და მისი მცნებების წინააღმდეგ ვმოქმედებთ; გვავიწყდება, რომ უსიყვარულობა, ცინიზმი, უპატივცემულობა ... რაც, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ნაწილისათვის ჩვევად იქცა, დამღუპველი ცოდვებია; (ამის გამოვლინებაა სიძულვილის ენა და ფიზიკური ანგარიშსწორება).

ურთიერთსიძულვილით, გაბოროტებით, ღვარძლით... ვერცერთ ეროვნულ ამოცანას ვერ გადავწყვეტთ და საკუთარ თავსაც და სახელმწიფოსაც მხოლოდ დაზარალებთ. ჩვენი ქრისტიანობა მთავრდება იქ, სადაც მთავრდება მოყვასისადმი სიყვარული.

მთელი ჩემი ცხოვრება საქართველოსთვის ვლოცულობ. დღესაც, მუდმივად შევთხოვ უფალს, მოგვცეს გული გონიერი და ლმობიერი.

ჩვენ ყველას სამშობლოს სიყვარული გვაერთიანებს; ამიტომაც ☞2

საარჩევნო კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი აირჩია

საქართველოს კანონმდებლობით, რომელიც ჯერ კიდევ ადრე იქნა მიღებული, საქართველოს ქვეყნის მორიგი მეექვსე პრეზიდენტი ახალი წესით—საარჩევნო კოლეგიას 300 ხმოსნით უნდა აერჩია. იმავე კანონმდებლობით, 300 ხმოსანი კომპლექტდება პარლამენტის მოქმედი წევრებით, ასევე აფხაზეთის და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებით, საკრებულოების წარმოამდგენლებით.

14 დეკემბერს, ამ შემადგენლობამ ოპოზიციური პარტიების საპარლამენტო წევრების გამოკლებით, ხმათა უმრავლესობით, საქართველოს პრეზიდენტად აირჩია საქართველოს პარლამენტის წევრი მიხეილ ყაველაშვილი.

საგულისხმოა, რომ ეს არჩევნებიც მასიური საპროტესტო აქციების ფონზე ჩატარდა. ოპოზიცია როგორც პარლამენტის, ისე პრეზიდენტის არჩევნებს არალეგიტიმურად აცხადებს და ხელახალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვს. ამასთან, მოუწოდებს ხელისუფლებას, რომ გაათავისუფლონ დაკავებულები და აღკვეთონ ძალადობა.

„თერჯოლობა“ 2024

სითბო-სიყვარულით სავსე სახალხო დღესასწაული

დასასრული ☞4,5

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

არ დაგავიწყდეთ ჩვენი გაზეთის გამოწერა მომავალი 2025 წლისათვის!

თერჯოლა

გაზეთის ერთი ნომრის ღირებულებაა 50 თეთრი,
6 თვით - 6 ლარი, წლით - 12 ლარი.
ხელმომწერთათვის დადგენილია სხვადასხვა შეღავათები.

17 დეკემბერს ბარბარობაა გილოცავთ!

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი 2025 წლის 15 იანვარს დაიბეჭდება.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

საგზაო ინფრასტრუქტურა

ზედა სიმონეთი, ალისუბანი

ამ დღეებში, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მონიტორინგის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი სოფელ ზედა სიმონეთში და ალისუბანში იმყოფებოდა. მანუჩარ რობაქიძემ ზედა სიმონეთში აბჟანდაძეების საუბნო გზის კეთილმოწყობისა და სიმონეთიძევრის დამაკავშრებელ გზაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის ნაპირსამაგრი სამუშაოები დაათვალიერა.

რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს ზედა სიმონეთის სოფლის ცენტრიდან აბჟანდაძეების უბნამდე გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 980000 ლარს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა არმირებული ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზა 3 კმ-ზე, ასევე სანიაღვრე არხები. პროექტი გარდამავალია, სამუშაოებს ასრულებს შპს ,,გი-ან 2011”.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით კი სოფ. ძევრი-ზედა სიმონეთის დამაკავშირებელ გზაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტმობილო გზის ნაპირსამაგრის მოწყობა მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში მოეწყო საყრდენი კედელი, გაბიონები და აღდგა გზის დაზიანებული სავალი ნაწილი, სამუშაოებს აწარმოებს შპს „გოლდ ფაუერ“-ი.

სამუშაო შეხვედრას მერის მოადგილე ზვიად ბაზაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, მერის წარმომადგენლები საკრებულოსა და სოფელ ზედა სიმონეთში , სოსო ჩაფიჩაძე და მერაბ ბაზაძე ესწრებოდნენ.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები დაიწყო სოფელ ალისუბანში.

რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს სოფელ ქვედა ალისუბანი-მაჩიტაურის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 283548 ლარს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა არმირებული ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზა 4200 მ2-ზე. სამუშაოებს ასრულებს შპს ,,ჯეო როუდ ინვესტი”.

გზის მშენებლობა, მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ დაათვალიერა საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილთან ერთად. მონიტორინგზე მერის მოადგილე-მირზა ქოჩიაშვილი, ალისუბნის მაჟორიტარი დეპუტატი ბადრი ბუცხრიკიძე და მერის წარმომადგენელი იაგო აბჟანდაძე იმყოფებოდნენ.

გაიხსნა ახალი სპორტული მოედნები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში გრძელდება სპორტული სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია. ამჯერად, მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, ახალი სპორტული მოედანი სიქთარვის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო.

თანამედროვე სპორტული ობიექტი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ ადგილობრივებთან ერთად გახსნა.

სიქთარვაში, ხელოვნურსაფარიანი მინი-მოედნი სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მოეწყო, მისი საერთო ღირებულება 60 000 ლარია.

იმავე დღესვე, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით რეაბილიტირებული ახალი ხელოვნურსაფარიანი მოედანი სოფელ ჩხარშიც გახსნეს. პროექტის ღირებულება 53 000 ლარს შეადგენს.

ახლად გახსნილი სპორტული მოედნები სოფლებში მოზარდი თაობის წახალისებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას შეუწყობს ხელს.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

1☞

მოგმართავთ: საქართველოს კეთილდღეობისათვის გავერთიანდეთ ლოცვით, რათა ღვთის შეწევნითა და შინაგანი მშვიდობით შევძლოთ მართებული ნაბიჯების გადადგმა.

ერთობლივ ლოცვებს დიდი ძალა აქვს. საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ჩვენს სასულიერო პირებს გეძლევათ კურთხევა, ყოველდღე, 13:00 საათზე, დარეკოთ ზარი და აღავლინოთ სავედრებელი პარაკლისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი, ხოლო საქართველოსა და უცხოეთში მყოფ მრევლს გთხოვთ (პირად კანონთან ერთად), დღის განმავლობაში ილოცოთ: „მამაო ჩვენო“, 90-ე ფსალმუნი, „მოწყალებისა კარი განგვიღე“, „ღვთისმშობელო ქალწულო გიხაროდენ“ (3-ჯერ), ასევე, წმ. ანდრია მოციქულის, წმ. ნინოს, წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ტროპრები და ბოლოს „აცხოვნე, უფალო, ერი შენი“.

საქართველო ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია და ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ ჩვენს მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ სულიერ-კულტურულ მემკვიდრეობასა და ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპული ტიპის ეროვნული სახელმწიფოს განმტკიცებასა და განვითარებას.

დღეს საქართველოს ეკლესიის დამაარსებლის, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეა. ასევე, ხსენების დღეა წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის, პეტრე I და სამოელ I კათოლიკოსების. მათი და საქართველოს მფარველ სხვა წმინდანთა მეოხებით და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შუამდგომლობით ინებოს ღმერთმა ჩვენი ქვეყნის ერთობა, მშვიდობა და კეთილდღეობა.

თქვენთვის მლოცველი,
ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

საქართველოში უამინდობაა...

მიმდინარე წლის ბოლო თვემ, როგორც არასდროს განსაკუთრებით მეორე დეკადის დასაწყისში, უამინდობით გამოიჩინა თავი. გადაუღებლად ხანგრძლივმა წვიმებმა და უხვად მოსულმა თოვლმა სერიოზული პრობლემა შეუქმნა მოსახლეობას, სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებს. თოვლის საფარისაგან გაწმენდის მიზნით ცენტრალური ავტო-

მაგისტრალის რიკოთის მონაკვეთზე რამდენჯერმე ჩაიკეტა გზა მძიმეწონიანი სატვირთო ავტომობილებისათვის.

უამინდობამ გარკვეული პრობლემები შექმნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში, რასაც მყისიერი რეაგირება მოჰყვა მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, უპირველესად კი ადგილზე მდგომარეობის გაცნობის თვალსაზრისით.

ასე მაგალითად, 13 დეკემბერს, უხვი ნალექის გამო კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სარბევში, ლტოლვილების უბანში დაიტბორა ნატო დემეტრაძის საცხოვრებელი სახლის პირველი სართული, სარდაფი და ეზო. დაზარალებულ მოქალაქეს შეხვდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები და დახმარება აღუთქვეს.

უამინდობის გამო იმ ეტაპზე ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა მუნიციპალიტეტის 400 აბონენტს, რაც ოპერატიულად მოგვარდა.

მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლში, ოპერატიულად ჩატარდა გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცებულია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 4 დეკემბერს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და მერიის სამსახურების ხელმძღვანელები.

საკრებულოს სხდომამ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე სულ 14 საკითხი განიხილა, რომლებიც საკრებულოს წევრებს საკრებულოს დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეებმა თემურ ქოჩიაშვილმა, ბადრი ბუცხრიკიძემ, ბიძინა ბუცხრიკიძემ და შალვა ჭანკვეტაძემ წარუდგინეს.

განხილულ საკითხთა შორის პირველი იყო 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის წინა განხილვისას გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით საკრებულოს ამჯერად წარმოუდგინა თემურ ქოჩიაშვილმა.

საკითხების წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დეპუტატების შეკითხვებს მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, კომისიის თავმჯდომარეებმა და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ავთანდილ ურიადმყოფელმა უპასუხეს.



მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 20650.0 ათას ლარს შეადგენს, რაც 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 1500.0 ათასი ლარით ზრდას ნიშნავს

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის საშემოსავლო ნაწილის მაჩვენებლის მიხედვით, რეალური შემოსავალი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 505,78 ლარს მიაღწევს, ხოლო რეალური შემოსავალი ერთ სულზე საშუალოდ თვეში 42,14 ლარი იქნება.

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 20650.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები—17974.7 ათასი ლარით, გრანტები—300.0 ათასი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები—1975.3 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 400.0 ათასი ლარის ოდენობით.

საგადასახადო შემოსავლები

მთლიან შემოსავლებში (20650.0 ათასი ლარი) უშუალოდ, საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 87,0%–ს, ანუ 17974.7 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის: ქონების გადასახადი 2700.0 ათასი ლარი (აქედან: საქართველოს საწარმოთა ქონება—2190.0 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონება—40.0 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე—110.0 ათასი ლარი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი—360.0 ათასი ლარი), დამატებული ღირებულების გადასახადი - 15474.7 ათასი ლარი;

გრანტები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების საპროგნოზო მოცულობაში (20650.0 ათასი ლარი) ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების (ტრანსფერები) ხვედრითი წილი 1,4 %–ს, ანუ 300.0 ათას ლარს შეადგენს (მიზნობრივი ტრანსფერი—300.0 ათასი ლარი), ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული.

სხვა შემოსავლები

მომავალი საბიუჯეტო წლის პროექტში შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ასევე, სხვა შემოსავლები, რომელიც დაგეგმილია—1794.1 ათასი ლარით. საერთო შემოსავლებში მისი ხვედრითი წილია 8.7%. მათ შორის: პროცენტები განსაზღვრულია—170.0 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის—530.0 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან დაგეგმილია 20.0 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი—25.0 ათასი ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის—200.0 ათასი ლარი, შემოსავალი მომსახურეობის გაწევიდან—15.3 ათასი ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავები—1000.0 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები —15.0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია 400.0 ათასი ლარით, რომლის ხვედრითი წილია 1.9%. აქედან ძირითადი აქტივები—100.0 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივები—300.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო (საგეგმო) მაჩვენებლებში საერთოდ არ არის შეტანილი: საერთო– სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის და სხვა.

რადგან, ამ სახის მოსაკრებლებიდან წინა საბიუჯეტო წლებში ფაქტიური შემოსავლები არ დაფიქსირებულა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის საგასავლო ნაწილის საპროგნოზო პარამეტრები განსაზღვრულია საშემოსავლო ნაწილის შესაბამისად—20650.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 1500.0 ათასი ლარით მეტია 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება 1520.0 ათასი ლარი; მათ შორის:

— გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი დაგეგმილია 250.0 ათასი ლარით. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით.

— წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია დაფინანსდება 350.0 ათასი ლარით.

— გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯი დაფინანსდება 500.0 ათასი ლარით.

— კომუნალური მეურნეობის განვითარების ხარჯები დაფინანსდება 310.0 ათასი ლარით.

— სოფლის პროგრამები დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით.

— საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება 100.0 ათასი ლარით.

დასუფთავებასა და გარემოს დაცვისათვის განისაზღვრა 3000.0 ათასი ლარი; მათ შორის:

დასუფთავება და კეთილმოწყობა (ა(ა)იპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“) 2025 წლის ასიგნება განისაზღვრება 3000.0 ათასი ლარით;

განათლება—6136.0 ათასი ლარი, მათ შორის:

— სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა (ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“-ს) დაფინანსება განსაზღვრულია 220.0 ათასი ლარით.

— სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება განისაზღვრა 5500.0 ათასი ლარით.

— სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და მშენებლობა დაფინანსდება 1.0 თასი ლარით.

— სკოლისგარეშე განათლება (ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი“-ს) დაფინანსდება 415.0 ათასი ლარით.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი—2773.0 ათასი ლარი. მათ შორის:

— სპორტული ღონისძიებები დაფინანსდება 40.0 ათასი ლარით.

— სპორტული სკოლა (ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი“) დაფინანსდება 1000.0 ათასი ლარით.

— სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (ა(ა)იპ „თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი“) დაფინანსდება 330.0 ათასი ლარით

— სახელოვნებო სკოლები 350.0 ათასი ლარით.

— ბიბლიოთეკები დაფინანსდება 263.0 ათასი ლარით.

— კულტურის სახლების დაფინანსება განსაზღვრულია 520.0 ათასი ლარით.

— მუზეუმების დაფინანსება განსაზღვრულია 105.0 ათასი ლარით.

— ახალგაზრდული პროგრამები დაფინანსდება 50.0 ათასი ლარით.

— რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 40.0 ათასი ლარით განისაზღვრა.

— საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება 75.0 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა —1820.0 ათასი ლარი, მათ შორის:

— საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) დაფინანსდება 270.0 ათასი ლარით.

— სოციალური დაცვა დაფინანსდება 1550.0 ათასი ლარით, რომელიც მოიცავს შემდეგ სოციალურ პროგრამებს:

კერძოდ:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება.
2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარება.
3. ქალაქ თერჯოლაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობისის ნაწილი რომლებიც სარგებლობდა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი თანხებით.
4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ☞7 ეპილეფსიით ან პარკინსონით

„თერჯოლობა“ 2024

სითბო-სიყვარულით სავსე სახალხო დღესასწაული

მრავალფეროვანი პროგრამის პირველი ღონისძიება

როგორც შარშანდელ, ისე წლევანდელ „თერჯოლობას“ წინ უძღვოდა ლაშა გოგიაშვილის სახელობის მუნიციპალური ტურნირი მინი ფეხბურთში.

თერჯოლის ცენტრში არსებული ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედანი ამჯერადაც შეივსო მაყურებლებით. ფინალური მატჩის სანახავად მოვიდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი მუშაკები, სხვა თანამშრომლები, გუნდების გულშემატკივრები, ფეხბურთის მოყვარულები.

აღსანიშნავია, რომ ამ მუნიციპალურ ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობს მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის ფეხბურთელთა გუნდი, რაც ხელს უწყობს სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. მუნიციპალური ტურნირი ფეხბურთში, ტრაგიკულად დაღუპული მერის, ლაშა გოგიაშვილის ხსოვნას ეძღვნება.

წელს ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ ქ. თერჯოლის ფეხბურთელთა გუნდი, „თერჯოლა“ და სოფელ ძევრის ფეხბურთელთა გუნდი, „არწივები“. მაყურებლებს, ფეხბურთის გულშემატკივრებს ახსოვთ შანშანდელი ფინალი, რომელიც ამ გუნდებს შორის გაიმართა და თასი „თერჯოლამ“ მოიპოვა.

„თერჯოლის“ შემადგენლობაში თამაშობდნენ: გიორგი თურქაძე, დათო გაბრიაძე, ლაშა ნიკოლაძე, თორნიკე კიკვიძე, ირაკლი უბირია, ნიკა ბლიაძე, დიმა არეშიძე, ნიკა მაკარიძე, გია ქოჩიაშვილი (გუნდის მწვრთნელი გიორგი თურქაძე). გუნდ „არწივების“ შემადგენლობაში—გელა ფანჩულიძე, ბექა ჯიხვაშვილი, ლექსო ფანჩულიძე, შავლეგო ფანჩულიძე, კაკო აბულაძე, ირაკლი კუტალაძე, გიორგი ბერძული, გოგა ფანჩულიძე, თემურ ქათამაძე, ნიკოლოზ ფანჩულიძე, შოთა აბულაძე, გიორგი ფანჩულიძე (გუნდის მწვრთნელი გელა ფანჩულიძე).

მატჩი ფინალისტებს შორის დაძაბულად მიმდინარეობდა. პირველი ტაიმიდანვე აშკარა იყო ძევრის „არწივების“ უპირატესობა. მატჩიც ძევრელთა გამარჯვებით 4:1 დამთავრდა. თერჯოლელთა კარში ბურთები გაიტანეს: ლექსო ფანჩულიძემ ორი, კაკო აბულაძემ და გოგა ფანჩულიძემ—თითო ბურთი. ერთად-ერთი ბურთი კი ძევრელების კარში დიმა არეშიძემ გაიტანა.

მატჩს მსაჯობდნენ: რამაზ ბარდაველიძე, ელგუჯა გოგბერაშვილი და მერაბ ობოლაძე.

მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა მიულოცეს ორივე გუნდს ფინალში გასვლა, ძევრელებს კი გამარჯვება. წარმატებები უსურვეს ფეხბურთელებს. **„ეს არ არის მარტო შეჯიბრი, ეს მეგობრობაა. ფეხბურთისათვის დამახასიათებელ მცირე გაუგებრობას ვერ დავარქმევთ დაპირისპირებას, ორივე გუნდი გამორჩეულია“**—თქვა ბატონმა მანუჩარმა. ფეხბურთელთა გუნდ „თერჯოლას“ სიგელები და მედლები, ძევრელ „არწივებს“ კი სიგელები, მედლები და გარდამავალი თასი მანუჩარ რობაქიძემ და გია ბარათაშვილმა გადასცეს და მათთან ერთად სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

***

ქართველებს გვიყვარს საკუთარი ღვინის ქება, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენია უკეთესი, კარგ-გემო არომატიანი, თუმცა სომელიების გადაწყვეტილება იმდღევანდელი სადეგუსტაციო ღვინოებიდან შერჩეული საუკეთესოების თაობაზე შეუვალია და აი, დგება მომენტი, მათი გამოცხადება-დაჯილდოებისა.

იმ დღეს უამრავი ხალხი შეიკრიბა მერიის წინ საგანგებოდ მოწყობილ სცენასთან, საიდანაც სასიამოვნო გარეგნობის წამყვანებმა სოფო გაბრიაძემ და ომარ ჯიხვაშვილმა მისალმება-მილოცვის შემდეგ წარმოადგინეს საპატიო სტუმრები, რომლებიც თერჯოლელთა ზეიმს შემოუერთდნენ:

ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი შალამბერიძე, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე, პარლამენტის დეპუტატი ბეჟან წაქაძე, იმერეთის ყოფილი და ახალი გუბერნატორები ზვიად შალამბერიძე და ლევან ზალკალიანი, იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი დავით გორდულაძე. თერჯოლობას ასევე ესწრებოდნენ მეზობელი მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები.

სადღესასწაულო კონცერტი გახსნა სიმღერის ფოლკლორულმა ანსამბლმა „იმერეთმა“ (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი), შემდეგ კი საუკეთესოდ შესრულებული ნომრებით მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ: სიმღერის ანსამბლი „მასპინძელო“ (ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე), ქორეოგრაფიული ანსამბლები: „იმერეთი“, „ჯეოგენი“, „საპოვნელა“, სამხატვრო ხელმძღვანელი გოჩა ჭანკვეტაძე, ქორეოგრაფები: ირინა ბუცხრიკიძე, თამუნა ჭანკვეტაძე, გიორგი ჭანკვეტაძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიკონი“, ქორეოგრაფები: ზაურ სვანაძე, ვიტალი და მანუჩარ ლაღაძეები. ქალთა ანსამბლი „იამე“, ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი, ანსამბლი „მასპინძელო“ ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე, მომღერალი, თერჯოლის კოლორიტი ქალბატონი, ხათუნა სირბილაძე, რიჟამაძეების ოჯახი ხალხური საკრავებით, ხელმძღვანელები ტარიელ და ზურა რიჟამაძეები. მაყურებლებმა ასევე ნახა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბის გოგონათა ულამაზესი ცეკვა...

საოცარმა მუსიკალურმა და ქორეოგრაფიულმა ნომრებმა, კიდევ უფრო აამაღლა განწყობა და რწმენა იმისა, რომ თერჯოლას, ჩვენს მუნიციპალიტეტს მართლაც შეუძლია ყველა გააოცოს თავისი იმერული პენით, სტუმარ-მასპინძლობით თუნდაც ცეკვა-სიმღერებით.

გამარჯვებულ მეღვინეთა დაჯილდოება

წამყვანებმა შემდეგ სცენაზე მოიწვიეს მანუჩარ რობაქიძე და გიორგი ბარათაშვილი, რომლებიც გულითადად მიესალმენ შეკრებილ საზოგადოებას.

მანუჩარ რობაქიძე:

მოგესალმებით ჩემო ძვირფასებო, ჩემო საიმედო, საამაყო, საყვარელო ადამიანებო, მივესალმები სასულიერო პირებს, მივესალმები ჩვენს სტუმრებს, თანამემამულეებსა და აქ შეკრებილ ადამიანებს.

მივესალმები ახალგაზრდებს, ბავშვებს, ჩვენს მომავალს, ჩვენს სიძლიერეს.

მინდა მადლობა გადავუხადო და მივესალმო ჩვენს ემიგრანტებს, მუხლჩაუხრელი შრომისათვის და ოჯახების გაძლიერებისათვის.

მივესალმები იმ შვიდ, ☞5

სითბო-სიყვარულით სავსე სახალხო დღესასწაული

4☞

შრომით, გარჯითა და თავდადებით გამორჩეულ ადამიანს, ვისაც თერჯოლის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ.

მივესალმები და ვულოცავ აგრეთვე ღვინოების კონკურსის ყველა მონაწილეს, განსაკუთრებით გამარჯვებულებს.

მინდა დღევანდელი დღე იყოს თქვენთვის დაუვიწყარი და ბედნიერი. გვიგულეთ თქვენს გვერდით ყველა კეთილ საქმეში.

გიორგი ბარათაშვილი:

მოგესალმებით ჩემო თერჯოლელებო, გილოცავთ სახალხო დღესასწაულს, რომელიც ასე ლამაზად მიმდინარეობს... მიხარია, რომ ყველანი ერთად ვართ და შეგვიძლია მივულოცოთ და მოვეფეროთ ერთმანეთს. 2013 წლიდან ყოველ შემოდგომაზე ყველა ადმინისტარციული ერთეულებთან ერთად ვმართვადით ღვინის ფესტივალს და ვხედავთ, რომ ყოველწლიურად უფრო ლამაზი ხდება იგი.

ყველა თერჯოლელს შეუძლია „თერჯოლობაზე“ თავისი თავი საქმით გამოავლინოს, თუნდაც ღვინოში...

მერია და საკრებულო მუდამ თქვენს გვერდითაა... ვიყოთ ყველანი ერთად, ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად. სიკეთე, სიხარული და ბედნიერი დღეები გვიმრავლოს ღმერთმა...

წამყვანებმა ნომინაციებში გამარჯვებული მეღვინეები დასახელეს:

საუკეთესო „ციცქა“—ირაკლი კუბლაშვილი, ღვანკითი;

საუკეთესო „შერეული ღვინო“—ვასო ვერულაშვილი, ბარდუბანი;

საუკეთესო „ცოლიკაური“—მერაბ ტყეშელაძე, კვახჭირი;

საუკეთესო „განსხვავებული ჯიშები“—რამაზ რობაქიძე, სიქთარვა;

საუკეთესო „წითელი ღვინო“—გურამ გურჯიძე, ზედა საზანო;

საუკეთესო „ჭურის ღვინო“—ლაშა გურული, ახალთერჯოლა.

თითოეულ მათგანს მიულოცეს და სამახსოვრო სიგელები და პრიზები პირადად გადასცეს მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ.

სპორტის წარმატებულნი

სპორტში მიღწეული წარმატებისათვის დასაჯილდოებლად სცენაზე მოიწვიეს ახალგაზრდებსა და ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონები სამბოში, თერჯოლელი ძმები: **რომეო** და ლუკა ნიქაბაძეები, რომლებსაც სამადლობელი სიგელები გადასცეს.

საქართველოსა სპორტის ისტორიაში უკვე შევიდა ძიუდოისტ ილია სულამანიძის სახელი, რომელიც 2024 წლის ზაფხულის, პარიზის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. მან დაჯილდოების შემდეგ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს და ყველა თერჯოლელს გულთბილი შეხვედრისა და უზომო სიყვარულისათვის. **„მიხარია, რომ აქ ვარ, ეს ჩემთვის სამომავლოდ დიდი მოტივაციაა და შევეცდები ყოველთვის თერჯოლა ისე როგორც ტყიბული ამაყობდეს ჩემი მიღწევებით, მიყვარხართ, უღრმესი მადლობა“.**

ზეიმის მონაწილეებს მიმართა და საგანმანათლებლო სფეროში მუნიციპალიტეტის მიღწევებზე ისაუბრა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ.

კონცერტი ისევ გაგრძელდა და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმერეთის“ ზღაპრულად შესრულებული „იმერულით“ დასრულდა.

თერჯოლის საპატიო მოქალაქეები

„თერჯოლობა“ გამორჩეულია იმითაც, რომ სახელდება თერჯოლის ახალი საპატიო მოქალაქეები. წელს ეს წოდება მიენიჭა მუნიციპალიტეტში გამორჩეული ღვაწლისა და ღირსებების მატარებელ შვიდ პიროვნებას...

ექიმი-პედიატრი ქალბატონი **ცისანა მაკარიძე,** რომლის სახელი დღემდე ასოცირდება ექიმთან, რომელიც თავისი პროფესიონალიზმით, სამედიცინო საქმის უსაზღვრო ერთგულებით, თითოეული ოჯახის იმედი და ნუგეში იყო. 50 წელი ემსახურა იგი ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას, 30 წელი კი რაიონის მთავარი პედიატრის რანგში. თერჯოლის საპატიო მოქალაქედ ქალბატონი ცისანას წარდგენას, საზოგადოება მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდა. მას ჯილდო მანუჩარ რობაქიძემ განსაკუთრებული პატივით გადასცა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა;

საპატიო თერჯოლელის წოდება მიენიჭა საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს, ღვაწლმოსილ ქალბატონს **დარეჯან სარალიძეს,** რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი არაერთი მოსწავლის წინსვლისა და წარმატების მიღწევაში. იგი 2014 წელს დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის მედლითა და საპატიო სიგელით. 2023 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტორს მიერ მინიჭებული აქვს „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება;

საპატიო თერჯოლელის წოდება მიენიჭა აგრეთვე საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს, ქალბატონ **ეთერ ტურავას.** იგი წლების განმავლობაში იყო ღვანკითის საჯარო სკოლის დირექტორი და მათემატიკის მასწავლებელი, ყოველთვის წარმატებული შედეგებით გამორჩეული. 2014 წელს დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის მედლითა და საპატიო სიგელით, 2023 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვს „საქართველის დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება. არის თერჯოლის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე;

თერჯოლის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა არქიტექტორს, თერჯოლის სამხატვრო სკოლის დირექტორს ქალბატონ **თამარ ღარიბაშვილს.** მან ურთულეს, 90-იან წლებში შეძლო და თერჯოლელ ახალგაზრდებს შეუნარჩუნა ხელოვნების ულამაზესი კერა, თერჯოლის სამხატვრო სკოლა. მის სახელს უკავშირდება თერჯოლაში რამდენიმე საავტორო პროექტი. მიღებული აქვს არაერთი ჯილდო ფერწერასა და არქიტექტურაში წარმატებული შემოქმედებითი მუშაობისათვის;

თერჯოლის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა ქალბატონ **გულთამზე კუბლაშვილს,** ვაჟა კუბლაშვილის სახელობის, თერჯოლის სამუსიკო სკოლის პედაგოგს, სამი მუსიკალური ანსამბლის: „იმერეთის“, „იამესა“ და “ჭიუხის“ ხელმძღვანელს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სიმღერისა და მუსიკის დარგში მიღწეულ წარმატებებში, ისე როგორც სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა წარმატებებში, რომელიც ბოლო წლებში განსაკუთრებით თვალსაჩინოა;

თერჯოლის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს **ავთანდილ ბუცხრიკიძეს.** მის სახელს უკავშირდება 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი. იგი 10 წიგნისა და 3 მონოგრაფიის ავტორია და დიდი წვლილი მიუძღვის ქართული პოლიტიკური მეცნიერების განვითარებაში.

არის კიდევ ერთი ადამიანი, რომლის სახელს უკავშირდება თერჯოლაში არაერთი ადმინისტრაციული თუ სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობის აგება. საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა, საზაფხულო ამფითიატრი, მიწისძვრით დაზარალებულთათვის 380 და სოციალურად დაუცველთათვის 12 საცხოვრებელი სახლი... მისი ხელმძღვანელობით აშენდა გოგნის წმინდა გიორგის ეკლესია და რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლას. ეს კაცი გახლავთ **მევლუდ გეწაძე.** მას და ყველა ზემოთჩამოთვლილ საპატიო მოქალაქეებს ჯილდოები გადასცეს **ბეჟან წაქაძემ, მანუჩარ რობაქიძემ** და **გიორგი ბარათაშვილმა.**

შემდეგ იყო ემოციური სამადლობლები, თერჯოლის თითოეული საპატიო მოქალაქისაგან.

სიმღერის ანსამბლებმა „იმერეთმა“, „იამემ“ და „მასპინძელომ“ კი ერთად შესრულებული ქართველთა უკვდავების ჰიმნით, „მრავალჟამიერით“ დაასრულეს „თერჯოლობა—2024“-ის ეს გამორჩეულად მნიშვნელოვანი ეპიზოდი.

„თერჯოლობა“ 2024

„ჩემს დედამიწას შეგავედრებ ღმერთო მაღალო, მრავალჟამიერ საქართველო, ჩემო სამყაროვ!“

ასეთი იყო „თერჯოლობა—2024“. თუმცა ეს არ იყო ყველაფერი. წინ საქვეყნოდ დაანონსებული ცნობილი ღამის შოუს ბენდის კონცერტი იყო, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ „თერჯოლობის“ მონაწილენი, განსაკუთრებით ახალგაზრდები.

კონცერტმა თითოეულ მსმენელში ორმაგად გააღვივა „თერჯოლობის“ სიხარული, დიდი თუ პატარა თვალებანთებულნი მღეროდნენ და ცეკვავდნენ მათ სიმღერებს მათთან ერთად. ღამის სიცივის მიუხედავად, არავინ ტოვებდა კონცერტს. ირგვლივ სიყვარულის, ერთობის, ბედნიერების „სურნელი ტრიალებდა და ცივ საღამოს მათ გულებთან ერთად ათბობდა.

საღამო ულამაზესმა ფოიერვერკებმა დააგვირგვინა.

* * *

მაშ ასე: „თერჯოლობა—2024“ უკვე ისტორიის კუთვნილებაა. სადღესასწაულოდ მორთულმა პატარა, ფერადმა ქალაქმა „იმერულ ეზოში“ იმერული ხიბლითა და სტუმართმოყვარეობით უამრავ თერჯოლელსა და სტუმარს უმასპინძლა. დიდსა თუ პატარას, მათთვის საინტერესო საზეიმო-გასართობ აქტივობასა და სანახაობასთან ერთად „სითბოს, სიყვარულისა და ლხინის ტაბლა დაუდგა“...

წლევანდელი „თერჯოლობა“, რომელიც მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელისა და თითოეული მუშაკის ორგანიზებით, მათი თავდადებული ძალისხმებით გაიმართა და ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ტელეკომპანიამ გააშუქა, იყო ყველაზე მასშტაბური, საინტერესო და დასამახსოვრებელი, რაც აქამდე ყოფილა ჩვენს მუნიციპალიტეტში.

მომავალ „თერჯოლობამდე“...

მზია ცქიფურიშვილი
ჟუჟუნა ცხადაძე

ერთი დღე გოგნში

გოგნის საჯარო სკოლა აფხაზეთის ომში დაღუპული, ამ სკოლის აღზრდილის კახაბერ ბრეგვაძის სახელს ატარებს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას შეეწირა.

გოგნელები ამაყობენ, რომ ამ პატარა სოფელმა სამშობლოზე, თავის სოფელზე შეყვარებული ბიჭი აღზარდა, კახაბერის მაგალითზე იზრდებიან აქ თაობები, არ ივიწყებენ მის გმირობას და ყველა ღონისძიებას, თუნდაც არა ომის თემაზე, კახაბერს უძღვნიან.

სკოლა მცირეკონტიგენტიანია, 29 მოსწავლე ჰყავთ. რა თქმა უნდა, მეტი უნდათ, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ თითოეულ მოსწავლესთან უფრო ინდივიდუალურად და ხანგრძლივად მუშაობენ. ჰყავთ წარმატებული მოსწავლეები, ერთ-ერთი მარიამ რობაქიძე მედლის კანდიდატია. შარშან, რვა კურსდამთავრებულიდან ოთხი უმაღლეს სასწავლებელში, სასურველ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სკოლა ამაყობს ყოფილი კურსდამთავრებულებით. ბევრი დღეს პასუხსაგებ თანამდებობაზეა მუნიციპალიტეტში და მის გარეთაც.

შრომისმოყვარე პედაგოგებით არის სკოლა დაკომპლექტებული. ყველა მათგანი სტატუსიანია და ერთად, გუნდურად მუშაობენ. სკოლა და გაკვეთილები მათთვის ყველაფერზე მაღლა დგას. ყველა ღონისძიება ხელს უწყობს სწავლას, აღზრდას, განათლებას.

„მოგზაურობა გურიაში—„ხაზარულა“ მეექვსე კლასში

ორი წლის წინ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მაგისტრის ხარისხით დაბრუნდა თავის სოფელში და თავის სკოლაში ანა რობაქიძე.

გულთბილად მიიღეს, ხელი შეუწყვეს, დაეხმარნენ. ახლა ანა წარმატებით ართმევს თავს გაკვეთილებს, დამრიგებლობას და კლასგარეშე მუშაობასაც... მის სადამრიგებლო მე-6 კლასში სამი მოსწავლეა. მარიამ ფხალაძე, თორნიკე კირკიტაძე და ვახო ისაკაძე. მათ ნოდარ დუმბაძის „ხაზარულა“ პროგრამულად შეისწავლეს და სცენაზეც გააცოცხლეს. ანამ გვითხრა, რომ „ხაზარულას“ მინი სპექტაკლად დადგმა, მოსწავლეეთა იდეა ყოფილა.

ოთახი ლამაზად იყო მორთული ნოდარ დუმბაძის სურათებით, შემოდგომის ნობათით სავსე კუთხით... „ამაყად იდგა“ ჯერ კიდევ ცოცხალი „ხაზარულა“—უგემრიელესი ვაშლის უხმოსავლიანი ბებერი ხე. „ეს ოდა არ მიმიტოვო. ბაბუა, ღადარი არ გამიციო“—იკითხებოდა თვალსაჩინოდ.

* * *

„ჩვენ საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და გამორჩეულ კუთხეში-გურიაში გამოგზაურებთ. გაგაცნობთ ნოდარ დუმბაძის „ხაზარულას“ პერსონაჟებს. გაგაცინებთ, ამასთან სევდასაც დაგიტოვებთ. გურული ბებო ხომ დიდი იმედით ელოდა „ხაზარულას“ დამწიფებას, თუმცა უშედეგოდ. ვნახოთ რა ბედი ეწევა უნაყოფო „ხაზარულას“ თქვა მარიამმა, რომელმაც ბებიის როლი კარგად მოირგო.

„ხეს რომ დაველაპარაკე პირველად 14 წლისა ვიყავი, ბებერი იყო ხაზარულა. მისი ნაყოფი ბებიას ზამთარში თბილისში ჩამოჰქონდა, მუშტისოდენა, ცივ, შემჭკნარ ვაშლებს ლოგინში შემომიგორებდა. ომის დროს სოფლის ხიზანი გავხდი და ხაზარულა პირადად ვნახე, ფუღუროიანი, სიხმელე შეპარული, მაგრამ მაინც ამაყი, მკლავგაშლილი, ლამაზი, თუმცა აგერ მესამე წელია აღარ ყვაოდა, აღარც ნაყოფს ისხამდა“—თქვა ვახომ და გაიმართა დიალოგი ბებიასა და შვილიშვილის შორის—მოჭრან თუ არ მოჭრან ხაზარულა.

ბებომ გადაწყვიტა ხის მოჭრა. სამართებელივით პირალესილი და ალაპლაპებული ნაჯახი მისცა შვილიშვილს. საინტერესო, იუმორნარევი დიალოგი კარგად წარმოადგინა ბებიამ (მარიამ ფხალაძე) და შვილიშვილმა (ვახო ისაკაძე). ვაშლის ხე რომ ვაშლს არ გამოისხამს ვაშლია იგი? შიმშილის დროს შეიძლება ასე ღალატი, უნდა შევაშინოთ. თუ არ შეშინდა მოვჭრათ. შვილიშვილი ნაჯახს მოუქნევს ხეს და აშინებს...

გაზაფხულდა, აყვავდა ნუში, ტყემალი, ატამი, გულაბი, ალუჩა... აყვავილდა ხაზარულაც. დაისია ფუტკარი, გამოისხა, დამწიფდა, მაგრამ რა დამწიფდა, დახვავდა, მაგრამ რა დახვავდა, აგვავსო ჩვენცა და მეზობლებიც, კბილმოკვეთილი საქონელი ვეღარ აუდიოდა ხაზარულას ღეჭვას. ის იყო და ის, ხაზარელას აღარ გამოუსხამს, გათავდა ხაზარულას ხაზარულობა... როლში შემოვიდა ანანია—თორნიკე კირკიტაძე—**კი ხარ ქალაქელი, მაგრამ შეეგუე გლეხის ფილოსოფიას, სამ რამეს არ აყენებს გლეხი ოჯახში—ბერწ საქონელს, უნაყოფო ხეს...** მოითხოვა ანანიამ ღვინო და დასაყოლებელი. ხაზარულა კი არა მე ვეღარ ვხედავო—ანანიამ და მიიღო ბებიას დარიგება—შაქროიეს ღობეს აუყევი, ჩემსას ისედაც არ უდგას სულიო... გაჭირდა გადაწყვეტილება, მოეჭრათ თუ არა ხე.

ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს ხედავდა ხაზარულა. ნაშუაღამეს გული შეეკუმშა და ფესვების ბადეში გახვეული ჭურიც შეტოკდა, ბზარი გაუჩნდა. წითელმა ღვინომ გამოჟონა ჭურიდან. ხაზარულა წურავდა და ისრუტავდა წითელ ღვინოს. დათვრა ხაზარულა. დილით გვერდში ყრუ დარტყმა იგრძნო, მოსხლეტილი დაეშვა დედამიწაზე...

* * *

პედაგოგ ანა რობაქიძის ხელმძღვანელობით დადგმულ, ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობის „ხაზარულას“ სცენაზე გაცოცხლებას მაღალი შეფასება მისცეს სკოლის დირექტორმა ვერა ქოჩიაშვილმა, მოწვეულმა სტუმრებმა—ძევრი-გოგნის მაჟორიტარმა დეპუტატმა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ძევრის საჯარო სკოლის დირექტორმა მანუჩარ ფანჩულიძემ. კმაყოფილებას ვერ ფარავდა ძევრის სკოლის ამერიკელი მოხალისე მასწავლებელი—მაკენზი სმიტი. მოეწონა სპექტაკლი, ჩურჩხელის ამოვლების პროცესი და ჩურჩხელაც...

მეცხრეკლასელთა პრეზენტაცია—ძველი ქართული ტრადიციები

იმ დღეს გოგნის საჯარო სკოლაში ერთ ჩვეულებრივ გაკვეთილს დავესწარით. მე-9 კლასის მოსწავლეებმა: თათია კირკიტაძემ, მარიამ ფხალაძემ, რიტა არაბიძემ—მუსიკის პედაგოგ მარინე იობიძის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს პრეზენტაციები ძველი ქართული ტრადიციების შესახებ.

მოსწავლეებმა ისაუბრეს მითებზე, ლეგენდებზე, მითოლოგიაზე, რომ იგი კოლექტიური, ფანტასტიკური, ხალხური თქმულებაა ქვეყნის გაჩენის, სიცოცხლის წარმოშობის, ბუნების ძალთა, ღმერთების და გმირების მოქმედების შესახებ... რომ მითში მხატვრულადაა წარმოდგენილი ადამიანის პრიმიტიული წარმოდგენები სამყაროზე, ბუნების საიდუმლობებით გამოწვეული შიშისა და უძლურების გრძნობაზე... რომ მითი წარმოადგენს ტექსტს, რომელიც რიტუალებს დაედო საფუძვლად. როგორც სანოტო ტექსტი არ წარმოადგენს მუსიკას შემსრულებლისა და მსმენელის გარეშე, მითიც განუყოფელია რიტუალისაგან.

ცოტა რამ ქართული მითიოლოგიიდან ბატონები

წარმართ იბერო-კავკასიელებს სწამდათ, რომ ადამიანი თვითონ კი არ ხდება ავად, არამედ ავადმყოფობას უგზავნის მასზე გამწყრალი ღვთაება ან ავი სული ეძალება. ამიტომ ხალხური მედიცინის გარდა ხშირად მიმართავდნენ მაგიურ-რელიგურ მკურნალობასაც. სწამდათ, რომ მაგალითად—ბატონებს კურნავდა მუსიკა, ცეკვა, ყვავილები, ტკბილეულობა, თუ სურვილს აუსრულებდნენ ოჯახში მობრძანებულ ბატონებს, იგი იოლად გაივლიდა. ავადმყოფის პატრონები ბატონების გასახარებლად აწყობდნენ საგანგებო მორთულმოკაზმულ ბატონების ხეს, დგამდნენ ტკბილეულით გაწყობილ ტაბლას, უკრავდნენ ფანდურზე, მღეროდნენ ბატონების საგალობელს „ბატონებო“.

ბერიკობა

ბერიკობა—ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრია.

ტერმინი „ბერიკობა“ განაყოფიერებისა და შვილიერების კულტის სადიდებელ სანახაობას აღნიშნავს და ნაწარმოებია ქართველური ძირიდან „ბერ“ (შვილი).

ბერიკაობას ბერიკები ასრულებდნენ. სცენები, რომელთა საფუძველზეც იქმნებოდა ბერიკული წარმოდგენები, საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა, ახალი შინაარსით მდიდრდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მაგ. ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში, ადიგენის სოფელ უდეში, ახმეტის მატანში დღესაც სრულდება ოდესღაც ტახღვთაების გარდაცვალების და მის აღდგომა-გაცოცხლებასთან დაკავშირებული მისტერიის სცენები.

დროთა ვითარებაში ბერიკაობამ დაკარგა საკულტო-რელიგიური დანიშნულება და მშრომელი ხალხის ცხოვრების, მისი მისწრაფებების გამომსახველად იქცა. ბერიკების მრავალი სიუჟეტი შეიცავს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის სურათებს, თავადების, ეკლესიის მსახურთა, მოსამართლეთა საქმიანობის მამხილებელ სცენებს. ჩვენამდე მოღწეულია 100-ამდე სიუჟეტი, მათი უმეტესობა კომიკურია და ძირითადად შექმნილია საყოფაცხოვრებო თემაზე.

ბერიკობა სამგვარი წყობისა იყო: კარდაკარ სასიარულო, მოედანზე სათამაშო და სადარბაზო (სადღესასწაულო).

ბერიკობა იმართებოდა საგანგებოდ შექმნილ მოედანზე და ზოგჯერ 100-ამდე შემსრულებელი ჰყავდა. მისი ტრადიციული ნიღბები იყვნენ: მეფე (სასიძო), კეკელა (სარძლო), მაჭანკალი, გლეხი, თავადი, თათარი, მოისამართლე, ექიმი, ხუცესი, აგრეთხვე ტახი, დათვი, თხა და სხვა ცხოველები.

ბერიკები უსულო საგნებს და განყენებულ ცნებებსაც განასახიერებდნენ (მაგ. ალავერდის ტაძარი, საბძელი, ხე, უკუღმართი ცხოვრება, ავსიტყვაობა და სხვა).

დიდ ბერიკაობაში მამაკაცები მონაწლეობდნენ, ქალებისა და მოზარდების ბერიკაობა ცალკე იმართებოდა.

ბერიკაობას ხელმძღვანელობდა ბერიკათწინამძღოლი, საქართველოში ცნობილი ბერიკები იყვნენ XVIII სუკუნეში ოთარ ნორიოელი და იოანა ბუინა, XIX ს. პირველ ნახევარში აბელ რევაზიშვილი, XX საუკუნეში ბერიკები თბილისშიც გამოჩნდნენ.

* * *

თათიამ, მარიამმა, რიტამ ისაუბრეს საკუთარი ოჯახების გამოცდილებაზე, მათი უახლოესი წინაპრები მიმართავდნენ და დღემდე იყენებენ ხალხურ მედიცინას. ახსოვთ ბებიები როგორ აკეთებდნენ პურის ცომისაგან პატარ-პატარა ფრინველ-ცხოველების ფიგურენის და ბატონების „გადალოცვას“ახდენენ.

დამსწრეთ მოეწონათ მარინე იობაძის გაკვეთული, სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები, გამოიყენეს ტექნიკური საშუალებები და გაამდიდრეს იგი პრაქტიკული მაგალითებით.

პრეზენდატორები—პედაგოგი მარინე იობიძე და სკოლის დირექტორი ვერა ქოჩიაშვილი, მანუჩარ ფანჩულიძემ მიიწვია, პრეზენტაციის ძევრელი მოსწავლეებისათვის საჩვენელბად.

* * *

გადაუღებლად წვიმდა იმ დღეს, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა სოფელში დავით რობაქიძემ და სკოლის დირექტორმა ვერა ქოჩიაშვილმა, ჩემი თხოვნით, მაინც შეძლეს და დამათვალიერებინეს მდინარე ქვერუნაზე გადამდგარი რამდენიმე წისქვილი და შემახვედრეს მჭედელთა ოჯახს.

მათზე სხვა ნომრებში მოგითხრობთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცებულია

3☞

დავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარება.

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარება.

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი უნარშეზღუდული ბავშვების დღის ცენტრების დაფინანსება.

7. თერჯოლის ინვალიდთა ასოციაციის დახმარება (მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისათვის სხვადასხა ღონისძიებები).

8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარება. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტი ანხორციელებს ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამას, რისტვისაც გათვალისწინებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მშობლებისათვის დახმარება.

9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა. აღნიშნული ითვალისწინებს სტიქიური და სხვა მოვლენების შედეგად სახლდაზიანებული ოჯახების დახმარებას.

10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარება.

11. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე საკვები პროდუქტებით დახმარება.

12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება და სარიტუალო მომსახურეობა. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას.

13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის ერთჯერადი თანადაფინანსება. აღნიშნულით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის (გარდა პლასტიკური ოპერაციებისა) ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება.

14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით და ფენილკეტონურიით დავადებულ ბავშვთა ოჯახების ფინანსური დახმარება.

15. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარება.

16. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის პროგრამა.

17. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა.

18 თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2025 წელში განსაზღვრულია—5175.0 ათასი ლარით.

— თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო—1175.0 ათასი ლარი;

— თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია—4000.0 ათასი ლარი;

— სარეზერვო ფონდი—100.0 ათასი ლარი;

— წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 1.0 ათასი ლარი;

— მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა—95.0 ათასი ლარით.

— კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი— 20.0 ათასი ლარი.

— გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 10.0 ათასი ლარი.

„სახალისო ფეხბურთი“ ჩხარის №2 საჯარო სკოლაშიც მივიდა...

„სახალისო ფეხბურთი“ 11 დეკემბერს კვლავ ეწვია თერჯოლის მუნიციპალიტეტს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ „სახალისო საფეხბურთო“ ღია სკოლა დანიაში წამოწყებული პროექტია, რომელსაც 1998 წლიდან მიეცა მსოფლიო მასშტაბი. ამ პროექტის მთავარი ამოცანაა 5-12 წლიანი ბავშვების საფეხბურთო ცხოვრებაში ჩართვა.

ეს პროექტი საქართველოში 2003 წლიდან ხორციელდება. კარგია, რომ პროექტის ფორმატში ჩვენი მუნიციპალიტეტიც არის ჩართული.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ საქართველიოს ფეხბურთის ფედერაციის როლი, რომლის თანამშრომელი, უეფას მედია ოფიცერი მამუკა კვარაცხელია კარგად უძღვება ამ საქმეს ქვეყენაში. მარტო მიმდინარე წელში მან უკვე შეძლო „სახალისო ფეხბურთის“ გაკვეთილები ჩაეტარებინა სიმონეთის ორივე საჯარო და სოფელ ბარდუბნის საჯარო სკოლების დაბალკლასებისათვის.

საინტერესოა, რომ ამ გაკვეთილებზე ბავშვები არა მარტო ბევრ საინტერესოს სწავლობენ ფეხბურთზე, არამედ ღებულობენ საჩუქრებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისაგან. ეს საჩუქრები კი აუცილებლად არის ფეხბურთის ბურთი და საფეხბურთო მაისური.

ასე იყო ამჯერადაც ჩხარის №2 საჯარო სკოლაში, სადაც სკოლის მცირერიცხოვანი კონტიგენტის მიუხედავად მის მინი საფეხბურთო სტადიონზე, „სახალისო ფეხბურთის“ გაკვეთილისთვის ბევრი მონაწილე და მაყურებელი შეიკრიბა.

მაყურებელთა შორის იყვნენ სკოლის პედაგოგები, მშობლები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

სასურველმა სტუმარმა, ჩვენებურ დიმა არეშიძესთან ერთად კარგად გაართვა თავი დაგეგმილ ღონისძიებას და ამასთან, ტრადიციულად ბურთები და მაისურებიც (სულ 50 მონაწილე) გადასცა საჩუქრად მოსწავლეებს.

დასასრულს უეფას მედია ოფიცერმა, მამუკა კვარაცხელიამ წარმატებები უსურვა გაკვეთილის ყველა მონაწილეს როგორც სწავლაში ისე სპორტულ ცხოვრებაში.

მადლობა მას.

სამხატვრო სკოლის საშემოდგომო გამოფენაზე

როგორ შეიძლება შენი პატარა, ლამაზი თერჯოლა არ გიყვარდეს, რომელიც თითქმის ყოველდღიურად იცვლის სახეს, მშვენდება, კოპწიაობს და არ იამაყო, არა მხოლოდ იმერეთის ერთ-ერთი საუკეთესო სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლით—საუკეთესო შენობა, სახელოსნო და საგამოფენო სივრცე, საუკეთესო პედაგოგები, საჭირო რესურსები აქ ყველაფერი მოწესრიგებულია და თითოეულ მოსწავლეს საშუალება აქვს პედაგოგების დახმარებით ან დამოუკიდებლად იმუშაოს და ისწავლოს კომფორტულ გარემოში.

თერჯოლის სამხატვრო სკლაში უფასოდ ასწავლიან და ხელოვნების ამ უმშვენიერესი დარგის საიდუმლობებს საფუძვლად ეუფლებიან ნიჭიერი თერჯოლელი გოგო-ბიჭები.

დიახ, ეს ის სკოლაა, რომლის კურსდამთავრებულთ უადვილდებათ სამხატვრო აკადემიასა თუ სხვა უმაღლეს სასწავლებელში მონათესავე სპეციალობებზე ჩაბარება, რომლებიც შემდეგ ისევ სამხატვრო სკოლაში მიღებული ცოდნით აოცებენ ლექტორ-მასწავლებლებს.

ეს ის სკოლაა, რომელმაც წლების განმავლობაში 30-ზე მეტ თერჯოლელ ახალგაზრდას საშუალება მისცა არქიტექტორებად, დიზაინერებად, მხატვრებად და ა.შ. იღვაწონ ქვეყნის მასშტაბით თუ მის ფარგლებს გარეთ.

ეს ის სკოლაა, სადაც მხოლოდ მხატვრებად კი არ იზრდებიან, ხელოვნების ამ დარგთან ზიარება საკუთარი გემოვნებით, ხედვით, მუშაობის სტილით და პასუხისმგებლობით მათ პიროვნებად აყალიბებთ, რაც უმთავრესია ცხოვრებაში და კიდევ აქ ისეთი გარემოა თერჯოლელი ახალგაზრდები ზნეკეთილ ადამიანებად ფორმირდებიან...

თერჯოლის სამხატვრო სკოლაში დღეს 100-მდე მოსწავლე ირიცხება, რომელთა სწავლებას ფერწერისა და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგები: ნინო ჩხიკვაძე, ეკა რიჟამაძე, დარეჯან გოგბერაშვილი და თამთა მაჭარაშვილი წარმართავენ.

ყოველი ახალი სასწავლო წელი ძველ მოსწავლეებთან ერთად ახალ მოსწავლეებთან იწყება. ბავშვებს ხატვა უყვართ, სურვილიც აქვთ ხატონ, ისწავლონ, თუმცა, ყველა მხატვარი ვერ გამოვა. პედაგოგები ცდილობენ ახალბედებში აღმოაჩინონ ხატვის ნიჭი და ხელი შეუწყონ მის განვითარებას თითოეულ მათგანში.

14 ნოემბერს სამხატვრო სკოლაში სკოლის მოსწავლეთა საშემოდგომო ვერნისაჟი გაიხსნა, რომელსაც მრავალრიცხოვანი დამთავლიერებელ-შემფასებელი ჰყავდა.

მიუხედავად იმისა, ახალი სასწავლო წელი არც ისე დიდი ხნის დაწყებულია, წარმოდგენილი გამოფენა მოწმობს, რომ თითოეულ მოსწავლეს საინტერესოდ და პასუხისმგებლობით უმუშავნია... კედლებიდან ლამაზად განლაგებული გრაფიკის, ფერწერის, ნატურმოტების ნიმუშები დამთვალიერებლებს რამდენიმე წუთით ლამაზ სამყაროში ამოგზაურებენ, პოზიტიური ემოციებით ავსებენ თითოეულ მათგანს.

გამოფენაზე, როგორც ყოველთვის ახლაც სიახლეა. ეს არის ქვებზე შესრულებული თითოეული მოსწავლის დამოუკიდებლად შერჩეული ფიგურები თუ ორნამენტები. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნამუშევრებმა კიდევ უფრო გაალამაზა და გაამდიდრა საშემოდგომო ვერნისაჟი...

გამოფენა ლამაზად შესრულებული მხატვრული ნომრის შემდეგ დირექტორმა თამარ ღარიბაშვილმა გახსნა. მან დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ნამუშევრები და მიულოცა მოსწავლეებს, მშობლებს და გარკვეული რჩევა-დარიგებაც მისცა მათ.

გამოფენას მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძეც შემოუერთდა. ბავშვებს გამოფენის გახსნა მიულოცა და ტრადიციულად სამადლობელიც გამოუცხადა სამხატვრო სკოლის პედაგოგებსა და დირექტორს გაწეული საქმიანობისათვის. აგრეთვე თამარ ღარიბაშვილს მან თერჯოლის საპატიო მოქალაქის საპატიო წოდების მინიჭება მიულოცა.

იმ დღეს დარბაზში შეკრებილი დამთავლიერებლებისა და მშობლებისაგან თამარ ღარიბაშვილმა მრავალი მილოცვა და სამადლობელიც მიიღო.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872